

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2016 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 2 194 092.8 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 050 256.9 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 45 941.5 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 5 095.6 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 92 798.8 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-მარტში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (2 050 256.9 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (1 989 912.4 ათასი ლარი) 103%;

– გადასახადების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 869 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 956 491.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 104.7%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 739 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 540 043.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 73.1%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 443 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 334 365.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 75.5%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (205 677.9 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (296 000.0 ათასი ლარი) 69.5%;

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 1 106 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 954 853.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.3%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 891 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 728 097.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 81.7%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 226 756.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (215 000.0 ათასი ლარი) 105.5%-ია;

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 19 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 23 851.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 125.5%-ია;

„სხვა გადასახადების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 437 742.6 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 56 850.4 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 28 210.5 ათასი ლარი (რაც გეგმის 49.6%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 17 138.9 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 1 501.5 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 9 570.1 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 64 062.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 65 554.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 102.3%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები,

გრანტების გარდა 3 866.1 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-მარტში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (45 941.5 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (51 300.0 ათასი ლარი) 89.6%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (6 099.6 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (8 800.0 ათასი ლარი) 69.3%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (39 841.9 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (42 500.0 ათასი ლარი) 93.7%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 700.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 140.1%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 39 141.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (42 000.0 ათასი ლარი) 93.2%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 5 095.6 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (4 800.0 ათასი ლარი) 106.2%-ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 5 094.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (4 800.0 ათასი ლარი) 106.1%.

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 1.1 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 92 798.8 ათასი ლარი (რაც გეგმის – 102 666.6 ათასი ლარის 90.4%-ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – -29 830.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (-29 082.0 ათასი ლარი) 102.6%-ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 122 629.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (131 748.6 ათასი ლარი) 93.1%-ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 122 629.3 ლარი (რაც გეგმის – 96 748.6 ათასი ლარის 126.8%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო

დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 82 011.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 40 617.7 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 33 386.5 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-მარტში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 967.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 363.2 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 596.9 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;

– „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;

– „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 აპრილისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 549 949.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 549 928.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 21.2 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად (სულ 228 919.0 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 72 413.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 050 256.9 ათასი ლარის მოცულობით (პირველი კვარტლის გეგმა 1 989 912.4 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 1 935 579.5 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 2 032 458.6 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 114 677.4 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა -42 546.2 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 57 446.1 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 45 941.5 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 103 387.6 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 57 231.3 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა -115 610.3 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 378 298.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 2 249 199.8 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 129 099.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 2 318 441.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 266 506.2 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 2 122 375.9 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 144 130.3 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 97.8%, ხოლო გეგმის 95.3%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-მარტის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.6%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.4%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-მარტში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 358 848.2 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 354 710.0 ათას ლარზე,

მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 347 142.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 96.7%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 269 144.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 249 398.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 234 130.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 87%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 97 713.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 96 556.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 96 556.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.8% და ვალდებულების 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 66 701.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (66 701.0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 29 855.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (29 855.1 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 77 786.3 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 72 994.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 72 083.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.8%-ს და გეგმის 92.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 14 064.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14 064.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 222 125.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 212 916.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (213 265.5 ათასი ლარი) 99.8% და საგეგმო მაჩვენებლის 95.9%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-მარტში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 206 240.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (206 240.4 ათასი ლარი) 100%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-მარტში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 741 894.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (743 143.2 ათასი ლარი) 99.8% და საგეგმო პარამეტრის (745 355.2 ათასი ლარი) 99.5%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 530 451.7 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 529 956.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 367 767.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (367 848.1 ათასი ლარი) 100% და გეგმის 99.9%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 158 366.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 158 351.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% და ვალდებულების (158 363.0 ათასი ლარი) 100%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 201 158.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 199 481.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.2% და ვალდებულების (199 665.8 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 261 485.6 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 233 901.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 230 856.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.7%-ს და გეგმის 88.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 118 675.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 118 660.5 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 8 572.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 8 572.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 124 364.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 106 817.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 103 387.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.8%-ს და გეგმის 83.1%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 52 841.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 44 633.5 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (43 740.7 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98% და საგეგმო მაჩვენებლის – 82.8%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 102 196.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 129

870.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 109 768.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 84.5%-ს და გეგმის – 107.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 15 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 000.0 ათასი ლარი) და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 119 280.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 117 783.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 117 770.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 98.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 101 275.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (101 275.8 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 16 494.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (16 508.1 ათასი ლარი) 99.9%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე („იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“) შეადგინა 691.0 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი აპრილისთვის შეადგინა 276.8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2016 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 2 038 967.1 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 398 379.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (427 005.5 ათასი ლარი) 93.3%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 81 414.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (99 631.2 ათასი ლარი) 81.7% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 20.4%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 96 496.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (97 654.0 ათასი ლარი) 98.8% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 24.2%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 171 862.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 172 904.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (2 038 967.1 ათასი ლარი) 8.5%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 246 559.1 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 224 963.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 128 168.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (137 655.9 ათასი ლარი) 93.1%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (24 614.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (27 422.0 ათასი ლარი) 89.8%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 27 285.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (28 706.9 ათასი ლარი) 95%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 182 631.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 157 940.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.5%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (14 223.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (16 329.0 ათასი ლარი) 87.1%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (41 479.2 ათასი ლარი), გეგმის (44 474.2 ათასი ლარი) 93.3% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 88 255.8 ათასი ლარის

გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 77 816.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.2%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 10 169.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 918.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.5%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 10 824.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 440.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 68.7%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 6 659.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 4 688.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 70.4%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 230 701.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 229 706.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.3%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 172 030.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (171 861.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 99.9%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (33 819.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (32 957.9 ათასი ლარი) 102.6%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 15 210.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (15 982.7 ათასი ლარი) 95.2%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 54 332.4 ათასი ლარით, რაც 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის (64 437.0 ათასი ლარი) 84.3%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 13 079.8 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (11 553.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 88.3%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 243 904.5 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 218 271.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89.5% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.7%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 119 554.2 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (120 410.0 ათასი ლარი) 99.3%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 23 306.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 003.4 ათასი ლარი) 93.2%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 568 726.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 565 110.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 27.7%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 368 173.0 ათასი ლარის

გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 367 833.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.9%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 160 653.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (160 860.6 ათასი ლარი) 99.9%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდათერთმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 1 217.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 588.5 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებული თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგინა 629.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ თოთხმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 11 555.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 9 627.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 აპრილისთვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 927.6 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ რვა შემთხვევაში შეადგინა სულ 19 103.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 9 793.4 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 აპრილისთვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 9 310.2 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 34 017.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 34 476.2 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 5 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 000.0 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27 700.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 282.4 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს: წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 25 041.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 25 041.5 ათასი ლარი.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებშიც) (გეგმა – 1 317.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 2 152.4 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით

ჩამოჭრილი იქნა – 2 282.4 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.